

ფილისის ქართველ საუღებობის გამცემა № 2.

სამაკედალიანო საქართველო

ნიკო ბარტი

ილია ჭავჭავაძე

პეტრი უშინაშეილი

მთელი შემოხავალი გდაიდება აჭარლების სასარგებლოდ

ტფილისი

მსწრაფლ-მშექდავი სტ. „ცხოვრება გაბაევის ქუჩა, № 4.

1915



ფილიანის ქართველ სცენისტის გამოცემა № 2.

სამაკედლიანო საქართველო

35096

ნიკო შარტა

ილია. ჭავჭავაძე

პეტერი უმცაბაშვილი

მთელი შემოსავალი აკადემიური სახელმწიფო



ტფილია

მსტრაფლ-მბეჭდავი სტ. „უხოვრება გაბაევის ქუჩა, № 4.

1915

წინასი ტეგაობა.

სამართლიანი შიში, რომელიც ქართულ საზოგადო-
ებაში აჭარის საკითხმა გამოიწვია, გვაიძულებს გავი-
თვალისწინოთ ყოველივე რაც ამ საკითხის გარშემო-
თქმულა და გაკეთებულა. ამ 38 წლის წინეთ ქართულ
ძაზოგადოებას ერთხელ უკვე ჰქონდა დასმული ეს საკით-
ხი, თითქმის ისეთივე სიმწვავით, როგორც ახლა. მაშინაც
როგორც ახლა უურნალ-გაზეთები უმთავრეს ყურადღებას
მაჰმადიან საქართველოს მდგომარეობას აქცევდენ და
თანამედროვე წერილებს დღესაც არ დაუკარგავთ. საჭირ-
ბოროტო ხასიათი. მკაფიოდ იყო დასმული საკითხი „ქმა
ძმისთვისა შავი დღისთვისაო“ და ყველა ალიარებდა სა-
ჭიროა ეხლავე შველა, როგორც ეკონომიური ისე სული-
ერიო. საჭიროა დავიახლოვოთ ჩვენი მოძმენი და გულ
გრილად ნუ ვუყურებთ... „როგორ თრთის და იკრუნჩე-
ბა შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი
კალთაში შიმშილისაგან ძუძუ გამომშრალ დედას; რო-
გორ ტყის ნადირივით დაძრწის დამშეული მამა, იმედ
დანთქმული, რომ რითიმე მიეშველოს შიმშილასაგან
სულთ მობრძავ ოჯახს.“.

სამწუხაროდ ეს მოწოდება ვრცელდებოდა მხოლოდ
ინტელიგენციაში და შეძლებულ ხალხში, მის სისრულეში
მოსაყვანად კი საჭირო იყო გავრცელება ამ აზრისა ფარ-
თო მასაში, რათა იქ, ერის გულის სიღრმეში, აღმოხეთქი-
ლიყო სურვილი ტანჯული მოძმეს დახმარებისა. მხოლოდ
მაშინ შესაძლებელი გახდებოდა სრული დახმარების გა-
წევა და ძმური ნუგეშით მაჰმადიანი ქართველის დაახ-
ლოვება.

დღესაც ჩვენ ამავე პირობებში ვიმყოფებით. მართალია ჩვენ არა გვყავს ძლიერი ბურუუაზია, მაგრამ ყოველთვის ძლიერია მთლიანი ერი. საჭიროა მხოლოდ მათმა მებაიახტრებმა რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ ხალხში თავისი ახრები და გეგმა.

ამ მიზნით ვსცემთ ჩვენ დღეს პირველ წიგნაკს „ივერიი“-დან ამოკრეფილ წერილებისა და ვეცდებით ნელ-ნაელ გამოვცეთ ყოველივე რაც შეეხება მაჰმადიან საქართველოს, უბრალო უურნალურ წერილებიდან, თარგმნილ მეცნიერულ ნიწარმოებებამდე. დღეს ჩვენ იძულებული ვართ გამოვცეთ წიგნაკი მცირეოდენი რიცხვით და საკმაოდ დიდი ფასიც დავადოთ. მაგრამ ბედნიერი ვიქენებით, როდესაც შევძლებთ შემოსავლს შეუმცირებლად წიგნაკი 5 ჯერ და 6 ჯერ ნაკლებ ფასებში გამოვსცეთ, რადგანაც ეს უტყუარი მაჩვენებელი იქმნება, რომ ხალხი დაინტერესდა საკითხით და შესაძლებელი გახდება დასახული მიზანის განხორციელება.

სკადემიკოსი ნიკო მარრი სამპატიანო საქართველოზე.

მდინარე ჭოროხის ბასეინში, და არა რიონზე, მოსახლეობდა, როგოც სჩანს, ტომი რომელმაც შეჰქმნა ძველი კოლხიდა, დასავლეთ ევროპაში ცნობილი ბერძენთა პოპულიარულ გაღმოცემათა საშუალებით ამავე მდინარის მიდამოებს საზღვრავს უძველესი სამშობლო ივერთა, ანუ ტიბარენთა, რომელთ ეპონიმიური წარმომადგენელი ბიბლიურ შობათა-ალრიცხვაში თუბალის სახელით არის მოხსენებული. ესენი არიან პირველი წარმომადგენელნი იაფეტურ ხალხთა ჯგუფებისა დასავლეთში და მათი ბედის მოზიარე კლარჯეთი, მტკიცედ შეკავშირებული ტაოსთან, ისტორიული ცხოვრების გარიურავზე, წარმოადგენენ თუბალ-კაინთა ანუ ივერი-ჭანურ მოსახლეობას, მონათესავეს ქართებისა ანუ ქართველთა ტომისა.

ამ ქვეყანამ სხვა-და-სხვა პოლიტიკური ცვლილება განიცადა: ხან პონტის სამეფოს ნაწილს შეადგენდა, ხან რომის პროვინცია იყო, ხან ბიზანტიის შორეული სანაპირო, სპარსეთ-ბიზანტიის ომებში ძალა-უნებურად მონაწილე. ეს პოლიტიკური განცდა არ წარმოადგენს სერიოზულ და ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს. ამ ქვეყნის გარეშე-ჭოლიტიკური ცხოვრების განვითარებას და ძლევაზონის სამეფოთა უფლება-გავლენის შეცვლა-შემცირებასთან ერთად, მიმდინარეობდა შინაგანი ცხოვრება, კულტურული და ძირითადი გარდაქმნა ცხოვრების წყობილებისა და მოსახლეობის ეთნიური შემადგენლობის ფორმათა შეცვლა. მაგრამ ამ ფრიად საგულისხმიერო და ცხოველი ისტორიული პრობლემის გამორჩვევა ამავ-

სურვილი იქნება იმ ისტორიულ ძეგლების მიხედვით, რომლებზედაც ჩვეულებრივად შენდება ეგრედ წოდებული მსოფლიო ისტორია.

ამ კუთხის ორგანიული და რეალი ისტორიით, სერიოზული და ხანგრძლივი ისტორიული პროცესებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ეს ტომი იაფეტურ მოდგმის თუბალ-კაინის ჯგუფიდან გარდაიქმნის სომხურ ტომად; სომხურიდან ისევ იაფეტიდებად, მხოლოდ ქართველებად და ქართველი ტომი კი—ოსმალოდ.

ქართველების ოსმალოებად გადაშენება—ეს უკანასკნელი ხანა მხარის ცხოვრებისა, უკვე საქმარისად არის შემოწმებული. გაოსმალების პროცესმა განვლო სამი ხანა. პოლიტიკური შესისხლხორცება ოსმალეთის სახელმწიფოებრივ თრგანიზმში, სარწმუნოებრივი გარდაქმნა—მოქავა ისლამშე, რაც მანალი XIII-XIX ს. ს. დამთავრდა, და ლინგვისტიკური ხანა, რომელიც საქმაოდ აღრე დაიწყო, ჯერაც არ დასრულებულა და ახალი ისტორიული ფაქტორების გაშო საეჭვოა როდისმე დამთავდესო.

რასაც სომხეთის ისტორიისათვის წარმოადგენს ქალაქი ანისი, იმაზედ ბევრად მეტ მნიშვნელობას წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური და განსაკუთრებით კულტურული ისტორიისთვის ტაო-კლარჯეთის ნანგრევები. ტაო-კლარჯეთის სიძველენი ანისის სიძველეებსავით აშკარად არ სჩანან, მაგრამ ტაო-კლარჯეთის გულს შეუძლიან გადაგვიხსნას არქეოლოგიური მასალები არა მარტო ქართველთა კოლონიზაციის ხანისა ან და წინამორბედ სომებთა ჩამოსახლებისა და თუბალ-კაინთა გვიანი სახელმწიფოებრივობისა ივერი-ჭანების ძველის-ძველი კულტურის ხანისა, რომელთანაც შეკავშირებულია, როგორც მეტალურგიის განვითარება თუბალ-კაინებსა და ხალიბებს შორის, ისე კოლხეთის სიძლიერე, რამაც შეჰქმნა თქმულება „ოქროს მატყლოვანი ვერძის“

შესახებ:

„მხოლოდ კონიექტურათა ანუ ტრადიციათა წყვდი-
ადში ბრწყინავს კოლხეთის სიმდიდრე, ნამდვილი ისტო-
რია კი წარმოადგენს უხეშ ზნეთა და უკიდურესი სილა-
რიბის სურათს“, ეს მოხდენილად წარმოთქმული აზრი
გიბბონისა უფრო ჰმოწმობს ენის ფერადობას ვიდრე სა-
ქართველოს რეალი ისტორიის ცოდნას. ტაო-კლარჯეთის
გულში ჩამაღული არქეულოგიური მასალები საჭიროა
არა ამ გვარ ისტორიული ხანის დასამტკიცებლად, არა
მედ მისი რეალების ცხადსაყოფელად და ხელშესახებად.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ეს მასალა დიდი
ხანია მეცნიერების ხელში იქმნებოდა, კავკასიაში მთავრო-
ბა და ეროვნული სკოლა სხვა ნიადაგზე, რომ ყოფი-
ლიყო დაყენებული. ეს სკოლა წლიდან-წლამდე ჰქმნის
გარეგნული კულტურის მატარებელ ხალხს, რომელსაც
შეუძლია მხოლოდ მონურად შეითვისოს უნიადაგო მზა-
მზარეული ფორმულები და სხვა და სხვა შაბლონები,—
სხვების ცხოვრებისა და აზროვნების ნაყოფი; იმას არ
შეუძლია შეჰქმნას მოღვაწეები ღრმა მეცნიერული კვლევა
ძიებისათვის, არც საკმაოდ შეიარაღებული მეომრები,
თავისუფალი შემოქმედების ასპარეზზე სამუშაოდ, ცხოვ-
რების რეალი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მატე-
რიალური და სულიერი ცხოვრების შესაქმნელად.

აჭარა, ქობულეთი და კინტრიშის მაზრა.

ივერია 1879 წ. № 2.

ყოველ მხრიდამ ისმის რომ ჩვენი მოძმენი—აჭარე-ლები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ აქამომდე არსაიდამ მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთი ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულებისა, რასაკვირველია, კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინადვე არვინ იცოდა ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთე-სა და არც ოსმალი; არც რუსი მოიქცევოდა გულმტკივნე-ულად და არც თათარი „დროების“ № 32 კარგა ცხოვლად არის აწერილი გ. წერეთლისაგან ის საცოდავობა, რა-საც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმედაც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამც თუ გადამეტებულია, რასაც გ. წერეთელი გვაუწყებს, არამედ იმის ნატამალიც არ უნდა იყოს, რაც საცოდავობა აჭარას და ქობულეთს მიადგა ომის გამო. აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარ-დაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დალუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წა-ლებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა,

შოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა — ესენი სულ იმის-
თანა თვისების უბედურობაა, რომელიც დიდხანს გაჰსწევს
და დიდხანს იქნება საგრძნობელი, თუ მთავრობა ეხლავე
ხელს არ შეუწყობს ხალხსა, არ დააკვირდება მის აწინ-
დელს მდგომარეობას, არ მიეშველება ფულით, თუ სხვა
ლონისძიებითა და თუ დროებით მაინც არ ამოუშვა. იმ
მოვალეობისაგან, რომელიც ხაზინის ინტერესს შეადგენს.
ეს უკანასკნელი მაინც აუცილებელი საჭიროებაა ქობუ-
ლეთის და აჭარისათვის. თუ მთავრობას ჰსურს დაანახვოს
ხალხსა თავისი უკეთესი მხარე, რომლითაც იგი მართლა
და სანატრელია ყოველის კაცისათვის, სახელდობრ,
ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თავის უწმინდაესს
მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შველას, ყოველ-
თვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო, მის კეთილ-დღე-
ობისათვის წადილს, მხრუნველობას და მხურვალე გულ-
დადებას, — და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა სა-
ბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქ-
მისა. ეგ შველა და ხელ უხვობა სახელმწიფოსი მით უფ-
რო არის სასარგებლო, რომ თვითონ სახელმწიფო არას-
ფერს დაჰკარგავს: ხალხი ფეხზედ წარმომდგარი უფრო
უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი
და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულ-
მოგებული და ფეხ-გამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო
სახელმწიფოს სიმღიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შე-
საწირავი, ყოველივე სანთელ-საკმელი გზას იპოვის, გლე-
ხისა არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამატებით დაუბ-
რუნდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ისმის, რომ ეს სანატრელი
სხარე მთავრობისა ფეხ-ადგმული არ არის ჯერ აჭარასა
და ქობულეთში, თუმცა მოხელეთა შორის იმისთანა
პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაციც არის
სხვათა შორის, როგორც თავ. გრიგოლ გურიელი. მაგრამ
ხომ მოგეხსენებათ, ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს

არ მოიყვანს....

ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირებაში. რომ მართლა იგი ყოფა და გაჭირება საშინელია მარტო ის ამტკიცებს, რომ თვითონ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს იმისი გამოცხადება საჭვეყნოდ. ვინ არ იცის რომ ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ექნელება და ემძიმება ხოლმე, ჰსჩანს მართლა დიდი უბედურობა უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, რომ მთავრობა იძულებულ იქმნა ეგ უბედურება ყველასათვის ეუწყებინა. მთავრობა მიჰშველებია კიდეც გაჭირებულს ხალხს, მაგრამაო იგი შველა საკმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის? რატომ იმდენად არ მიჰშველებიან, რამოდენადაც საკმარისია? რაო, სახელმწიფოს იმოდენა ღონე აღარა აქვს, თუ სხვა რამ მიზეზია. განა ამისთანა შემთხვევაში, უღონობის გარდა სხვა რამ მიზეზიც შეიძლება. რომ იყოს! უღონობა კიდურ ჭკვაში მოსასვლელი არ არის: სახელმწიფოსათვის ერთის მაზრის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის. ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრინა რით ავსხნათ ეგ ნამცეცების მიწვდა, როცა ხალხი ერთის მთელის მაზრისა შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი თვის გარე-შემო ჯოჯოხეთსა ჰგრძნობს. ან სულ ჰო, ან სულ არა. აქორ წყალშუა დგომა უადგილოა და ამაზედ მეტიც—თუ სწორეს გვათქმევინებთ....

ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობაა ამისთანებში მოვალე და ყოვლად შემძლებელი ღონე, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულ-გრილად ვუყუროთ ჩვენის ძმების უბედურებას; გულ-გრილად და თუნდა ცარიელის გულის ტკივილითაც შევყუროდეთ როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძლიშვი გამშრალს დედას; როგორ ტყის ნადირსავით დაძრწის.

ლონე მიხდილი დამშეული მამა, იმედ დანთქმული რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთ მობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდან შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთა-მხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისის და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით,“ საცოდავი კნავილი ბავშვისა: „მამავ პური“... „მამავ პური“... გარბის თვითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰერძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც ჰერძნოვრობდა, რის-თვისაც სულდგმულობდა, რისთვისაც იხრწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზედ უძვირფასესია... ჰერძნობს და გულს უბზარავს მწვავი ტკიფილი, სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და ულონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ ულონო, უილაჯო, თვალებ ჩაცვივნული, ნაწლებ ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს რომ თვალ წინ უკვდება ცოლი, უკვდება შვალი, უყურებს და იწვის, იდაგვის რომ არსაიდამ ხენა არ არის, არსაიდამ შველა. და თუ რამ ნუგეში აქვს, ეგ ის ნუგეშია რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის და-უძლურებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო..... იცით მერე ამისთანა ყოფა რა ტანჯვაა. ნამეტნავად მაშინ, როცა ხედავ, რომ გარშამო, მთელი მაზრა, ათას-ათასი ლვთის-კეოძი ადამიანი წივის, კივის: „გვიშველეთ, შიშვლები, მშივრები ვიხოცებითო!“ ეგ მთელი ჯოჯოხეთია, მთელი!...

აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდო ჩედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუ-

ჯლიან და არ შველის. ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს..... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვინ დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთ-მოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის-წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას რომ კაცთ-მოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა—უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!... აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ზომ სირცხვილზედ მეტიც .. ჩვენ გაჭირებულების ძმები ვართ, ძმები!... ეს არას დროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში ვამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბეღნიერების კვირტი უნდა ფამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!..... ლარიბნი ვართო ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მატრო ლარიბმა იკის, რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირებაში.

ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოველისფერაში გულ-უხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულ-უხვობას გაჰსწევს და არ დაიზარებს გაჭირებულ ძმათა-თვის შესაწირავს.

აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო! ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!... ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს

დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისათვისაც ჰსწუხ და
ჰფიქრობ!...

ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც თავს დაჰსცე-
მია აჭარა-ქობულეთს და მისი უნუგეშოდ ყოფნა დიდს
განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის
მცხოვრებელთა, რუსულ გაზეთში „Голос“-ში დაბეჭდი-
ლი იყო კორესპონდენცია და მერე სხვა გაზეთებშიაც
გადაბეჭდილი, რომ აჭარლები აყრის ჰფიქრობენ და ოს-
მალეთში გადასახლებასო. ამის მიზეზი იცის, როგორც
ეტყობა კორესპონდენტმა, მაგრამ გამეღავნება მისი.
„შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ვერ მოუხერხებია.
რუსული გაზეთები აი ამბობენ, რომ ხალხის აყრი და
ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ასეთი მძიმე და ღირს-
შესანიშნავი ამბავია, რომ აი დამალვა ნამდვილის მიზე-
ზისა ცოდვა არისო და დიდი დანაშაულიაო სახელმწიფოს
წინაშეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ? . . .

... თუ მართლა აჭარა აიყრება
და გადასახლდება საკვირველი რამ იქნება თუ შენც იტ-
ყვი, მკითხველო! ხალხი რად უნდა მიიზიდებოდეს ოსმა-
ლეთში? მერე როგორ? ხავის
მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს-დედულს, მამა-
თა-სალოცავს, მამათა-საფლავს—სულ ყველაფერზედ ხელს
უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიღიოდეს, გაგო-
ნილა!... საკვირველი ამბავია!... ნუ თუ რაც უნდა იყოს,
რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოს-
მალეთის ხელში? ნუ თუ ხალხი ჰსტოვებს ყველაფერს,
რაც კი მისთვის ძვირ-ფასია, ჰსტოვებს—ვიმეორებთ—
მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს საცა დაიბადა,
საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა—და მიღის
სად? ოსმალეთში . . . ? . . . რაო; რა ამბავია?
მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართლა მარ-
თალი ამბავია!

რად მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ—
სულ ყველაფერს ჰსტოვებს რისთვისაც კაცი თავს იქლავს
ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს. დაბა-
დების დღიდანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთი-სოფ-
ლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შეჰსტრფის,
რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს—დიალ ჰსტო-
ვებს და მიღის საღ? . . . ოსმალეთში!....

ეს რა ამბავია, რა ამბავია!... ადამიანი კიდევ ადა-
მიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ
ვერდო ადამიანს ველარ იყენებს, ველარ იშვნევს, ველარ
ითვისებს! ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ
ბინიდამ იშლება და მიღისო... ეს დაუჯერებელი, ტვინის
შემარყევი ამბავი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, რო-
ცა ხალხს ეტყვიან: ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო.
სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამე-
ტებინოს, ასე ხელი აალებინოს თავის ბინაზედ, თავის
შაშულზედ, თავის ღეღულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის
საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულე-
ბამდე ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანაო,
ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთე-
ბულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა
კალიაზედ უფრო მსუნავი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძ-
ლარი წვრილი ჩინოვნიკობა. რაოდენიმე კაცის გარდა,
ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს
ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალხყედ დგება. ამათ შორის
საცა გმოგდებული სამსახურიდამ კაცი იყო თურმე, საცა
გამოუსადეგი უხეირო, თავზედ-ხელალებული იყო, იმ ახალ
ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა ქეთილს დააყრიან
ხალხს? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრო-
ბასა, რუსის მმართველობასა? არავის ეჭვი არა აქვს, რომ
თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა, და აჭარა გადასახლდა,
ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამ-
დინ ჭიიყვანს საქმეს...

ო ს მ ა ლ თ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ

სახელოვანის თამარ მეფის შემდეგ მთელის ექვსასის წლის განმავლობაში აუარებელმა მტრის შემოსევამ დაასუსტა ჩვენი შინაგანი ერთობა; ერთმთავრობა და დაპყო საქართველო ნაწილ-ნაწილად. ჩვენი დამდაბლება, ჩვენი მიწასთან გასწორება, ჩვენი ქელვა ამ დაყობიდამ, დაიწყო. ჩვენ ერთის დიადის ოჯახის შვილნი, ერთის სისხლისა და ხორცისანი, ურთიერთის ძმები განვშორდით ერთმანეთსა და ეს მშვენიერი საქართველო, ერთობით ძლიერი; დაირღვა, დასუსტდა. შევიქენით ურთიერთის მოპირდაპირედ, ძმები ერთმანეთის მტრად გადავიქეცით, ვქიშპობდით, ძმა ძმასა ვხოცდით და ამაში დაილია კიდეც ძლიერი სული საქართველოსი. დაიყო საქართველო სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და სამთავროებად (საათაბაგო, ოდიშ-ლეჩებუმი ანუ სამეგრელო, გურია, სვანეთი და აფხაზეთი.) იმოდენა ლვაწლი მამა-პაპათა საქართველოს ნაწილების შეერთებისათვის, იმოდენა სისხლი, ვახტანგ გორგასლანიდამ დავით აღმაშენებლამდე დალვრილი ქართველთა ერთობისათვის და დასასრულ თვით ამ ერთობის დამკვიდრება ჩვენის სასიქადულო თამარ მეფისაგან; — ეს დიადი შრომა და ლვაწლი ისტორიული გაუქმდა და გაუქარწყლდა საქართველოს ერსა უწყალო ბედის ბრუნვითა. წასრულს საუკუნემდე ვიყავით ესე ერთმანეთს მოშორებულნი. ხოლო ამ დროდამ იწყება ხელახლად ლვაწლი და მეცადინეობა დარღვეულთა ნაწილთა შეერთებისათვის. ქართლ-კახეთი შეერთდა მეცე ერეკლე II დროს. იმერეთსაც სურდა შემოერთება და სთხოვდა მეფეს ერეკლეს იმერეთის სამეფოის მიღებას,

მაგრამ მეფე ერეკლემ უარ-ჰყო თხოვნა იგი, „ჩემს შვილს როგორ გამოვწირავო“ . მაინც და მაინც შეჰქმდება შეკრულობის კავშირი მეფეთ-მეფის საქართველოისა, ესე იგი, ქართლ-კახეთისა, იმერთა მეფისა, და მთავართა ოდიშ-ლეჩეუმ-სამეგრელოსი და გურიისა. ეს კავშირი იყო მტრი-საგან საერთოდ დაცვისათვის, ანუ მტერზედ საერთოდ ამხედრებისათვის.*)

ამ ბოლოს უამს ბედი სხვა ფრივ დატრიალდა და ამ უამად საქართველოს ვხედავთ ორად გაყოფილს, რუსეთისა და ოსმალოს შორის.

რუსეთს უჭირავს ძველი ქართლ-კახეთის სამეფო, საათაბაგოს ნაწილი (ახალციხისა და ახალქალაქის მაზ-რები), იმერეთის სამეფო, ოდიშ-ლეჩეუმ-სამეგრელოსი, სვანეთისა, აფხაზეთის სამთავრონი და ნაწილი გურიის სამთავროსი. ესენი შეადგენენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის სამხედრო განყოფილებასა.

ოსმალეთს უჭირავს გურიის სამთავროს და საათა-ბაგოს ნაწილები: ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ერუშეთი, ლივანი (ძველი ლიგანი) და ჭანეთი, ანუ ლაზისტანი. ეს ნაწილები ამ უამად ერთს სანჯახს შეადგენენ და ჰერიან ლაზისტანის სანჯახი.

ოსმალოს საქართველო მდებარეობს შევი ზღვის პირად, და იწყობა საცა ჩოლოქი მდინარე ზღვას ერთვის და ვრცელდება ტრაპიზონამდე თითქმის ორასს ვერსტამდე, ხოლო ჩოლოქი შესართავიდამ გურიის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრათა სამზღვრებზე განზიდულია ას სამოც ვერსტამდე.

გურიის მიჯნაზე ქობულეთის, მისის ქალაქით ბა-თუმით; ამის სამხრეთ ახალციხის მაზრის მოსამზღვრედ

*) იხილე „ცისკარი“ გიორგი XIII, პლატონ იოსე-ლიანისა.

ზედა და ქვედა აჭარაა; ამის სამხრეთ ახალქალაქის მაზრის მოსამზღვრედ ერუშეთია. აჭარას სამხრეთ და ერუშეთის დასავლეთ შავშეთია, აჭარასა და შავშეთის დასავლეთს ლივანაა (ძველი ლივანი), ლივანის დასავლეთ ჭანეთი, ანუ ლაზისტანი.

ოსმალოს საქართველოს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, თითქმის იმოდენა ადგილი უჭირავს, რამოდენაც ქართლ-კახეთსა. ადგილ მდებარეობა მთიანია ასე, რომ ვაკე მინდვრები ქართლსა და სამეგრელოსავით ფართო აქ ვერ მოიპოვება. უფრო ვიწრო მინდვრები ჭოროხის გალმა-გამოლმაა და აგრეთვე ჭანეთშიაც. უმთავრესი მთები არიან ჭანეთისა, ანუ პონტოსი, რომელნიც ბათუმს იქით დასავლეთიდ იწყება, მიღის შავის ზღვის დასწრებივ, ზღვისა და ჭოროხის შორის და ტრაპიზონის იქით გადადის.

მერე აჭარის და ახალციხის მთა, რომელიც გურიასა და ახალციხის მაზრისა და აჭარის სამზღვარზეა. ამის სამხრეთ ერუშეთისა და შავშეთის შუა არსიანის მთა მისდევს. ჭანეთის ანუ პონტოს მთის უდიდესი წვერი თითქმის სამის ვერსტის სიმაღლისაა. ეს მთები ყოველ მხრივ სერ-სერად და ქედ-ქედათ არიან დაყოფილნი, ამის გამო მთელ ოსმალოს საქართველოს იმ გვარივე სანახაობა აქვს, როგორც ზემო იმერეთს, ანუ ქსნის და არაგვის ხეობასა

ოსმალოს საქართველო წყლებით მდიდარია. უმთავრესი მდინარეობი არიან ჭოროხი, რომელიც ორას ორმოცდა ათ (250) ვერსტზე მიმდინარეობს ზღვის ჩასართავამდის, ჭოროხის ხეობაზე, ზოგან ეს წყალი ნავთ მატარებელია. მეორე არის მტკვარი, რომელიც მომდინარეობს 150 ვერსტს და ჩამოუდის ჭალაქ არტაანს, არიან კიდევ მდინარები ფოცხოვი, აჭარის წყალი და გურიის სამზღვარზე ჩოლოქი, და სხვა მრავალი. წვრილი წყლები

ბი. ეს წყლის სიუხვე და აგრეთვე შავის ზღვის სიახლევე. დეჯა მიწას და მთებს ნაყოფიერ ადგილათა ხდის და როგორც იტყვიან ქვაზედაც კი ხე ხარობს, როგორც გურია და არაგვის ხეობაა მწვანით. შემოსილი, აგრეთვე ეს ადგილები მშვენიერის მდიდარის მცენარეობით აღყვავებულია და ყოველი მცენარე, რომელიც ქართლ-კახეთ-იმერეთშია, იქაც მოდის. ამას გარდა ხარობს ზეთის ხილი ლიმონი და ფორთოხალი, რომელიც ჩვენში იქიდამ მოაქვთ.

უპირველესი სარჩო ხალხისა სიმინდი, ლოში, ქერი და ხორბალია. შესანიშნავია ერთი გარემოება, რომ ჭანეთში მინდვრის მუშაობაზე დედაკაცია და მამაკაცი კი ვაჭროს. სულადის მოყვანის გარდა აქაური მცხოვრებნი საქონლის და პირუტყვის მოშენებას მისდევენ, ძროხის ცხენის, ცხვარის და თხის შენახვა იციან. მოჰყავთ თამბაქო და ზეთის ხილი. საერთოდ ხალხი ფრიად შრომის მოყვარეა. ზღვის პირას მცხოვრებელნი უფრო ვაჭრობას მისდევენ, თავისი საკუთარი ნავები და გემები აქვთ და სხვა და სხვა მოსავალი სავაჭროთ მიაქვთ სტამბოლს და მარსელს.—ზღვის პირს მოშორებულნი ხეობათა მცხოვრებელნი ხვნა თესვაზე და საქონლის მოშენებაზე არიან ჭანები ძალიან მოვაჭრენი არიან, შორს დადიან სელოსნობაც იციან, ასე რომ ხუროები იმათგან ბევრნი გამოდიან, გურიას, იმერეთს და თვით ქართლს.

იქაურ ცხოვრების მოთხოვნილების დაგვარად, ხალხს კმასაყოფელი სარჩო მოსღის. ოჯახობა და სახლკარი კარგად და ფაქიზად მოწყობილი აქვთ. იქ ყოფილს კაცს უკვირს იმათი სისუფთავე და სიფაქიზე. შენობა ადგილისა დაგვარად ზოგან ქვიტკირისაა, ზოგან ხისა. ქვიტკირისა შინაგან გალესილია. მთელი ეს ქვეყანა მოფენილია ძველის მეფეების ციხეებითა და ეკლე-

სიებითა.

უმთავრესი ქალაქები საქართველოს ოსმალეთისანი არიან, ბათუმი ზღვის პირას, მთელი შავი ზღვის ნაპირების ნავთსაყუდელთა შორის უკეთესი ადგილია. მეორე უმთავრესი ქალაქი სანჯახის შუა ადგილას ჭორობზე ართვინია, რომელშიაც სკხოვრებს 15,000 სული, ამათში უმეტესი ნაწილი ქართველია, სხვანი სომები და ოსმალონი არიან. ამათ გარდა სხვა ბევრი პატარა ქალაქები და დაბებია.

საერთოდ მთელი ოსმალოს საქართველო მცხოვრებლებით მჭიდროთ არის დასახლებული ასე, რომ ზოგნი ჰერნებენ ნახევარ მილიონს სულს და ზოგნი ჭანეთით ერთ მილიონ სულამდის ჰსფლიან, ესე იგი თითქმის იმოდენა ხალხსა სთვლიან რაც ქართლ-კახეთ-იმერეთში მცხოვრებელია. მარტო ქვედა და ზედა აჭარაში მცხოვრებელთ სთვლიან 200-დგან 300 ათასამდე, რომელთაგან 60,000 მესროლი მეთოვე გამოდიოდა თურქე.

მთელი ოსმალოს საქართველო დასახლებულია უმეტესად ქართველებით და ჭანებით. ძალიან ცოტ-ცოტად არიან აქა იქ გაფანტულნი სომქნი, ბერძენნი, ოსმალონი და ჩერქეზი. ამათი რიცხვი ხუთი ათას კომლზედ მეტი არ არი.

ქართველები ლაპარაკობენ ქართულად და ჭანები მეგრულად, მაგრამ საერთოდ გავრცელებულია ქართული ენა, რადგანაც ჭანებს დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ, როგორც აჭარისაკენ, აგრეთვე გურიას, ქართლს და თვით ტფილისშიაც. ერთობა სისხლისა დღევანდლამდე ახსოვთ, იციან, რომ ისინი ქართველის ტომისანი არიან, ერთ დროს საქართველოს სამეფოსთან შეერთებული იყვნენ და ვახტანგ გორგასლანს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს და თვით მეფე ერეკლესაც იგონებენ, თუმცა ამ უკანასკნელის მეფის დროს იგინი ჩვენგან განშორებულნი

იყვნენ.

ჩვეულება, ხალხის რწმუნება, ყოფა-ცხოვრება იგი-
ვეა რაც ქართლ-კახეთში. ძველი ეკლესიების პატივის
ცემა და დღესასწაულის გადახდა, სამღვთო შეწირვა.
ისევ დარჩენილა, რაც აქეთ არის. სარწმუნოებით ისინი
მაჭმადიანები არიან, მაგრამ ჩვეულებით, ხასიათით და-
ენით დღესაც ქართველნი არიან თითქმის ყოველისფერში.

ქართული ენა თითქმის შეუცვლელი აქვთ. შინაუ-
რობაში დღესაც დიდი და პატარა სულ ქართულს ლაპა-
რაკობს, მიწერ-მოწერაშიაც ერთმანეთში ქართულს ხმა-
რობენ.

II

ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს:
იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონებს,
თვისის გულის ბერას, თვის ზნეობითს და გონიერობის აღ-
მატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვითებას. ჩვენის
ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოე-
ბისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე
ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა.
ერი ერთლვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში
ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და
ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით
ძლიერია, თუნდ ღროვა ბრუნვას ერი განეყოს, დაერ-
ღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემს-
ჭვალულება, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს,
რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა
იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულო-
ბამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ
დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულს ნომერში მოხსენებულს ნაწი-

ლებს ოსმალოს საქართველოისას დიდი პატივსაცემი და
სახელვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის. ერის ისტორიაში,
დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრა-
ვალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს
ერის თვით-არსებობისათვის. გარდა ამისა, რომ ჩვენა
ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე
ენით მოლაპარაკენი, ერთგ. ისტორიაცა გვქონია. ოდეს
ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენი-
ერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთ ეცილებოდნენ,
მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს
ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათ-
ლების, ერთმთავრობის დადგინებისათვის და, მათდა და
ჩვენდა სასახელოდ, ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას, წარმოგვიდგენს
იგი საქართველოს ისტორიაში. როდესაც საქართველო
დაყოფილ იყო წვრილ სამააკროებათ და ერთი ნაწილი
სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბი-
ზანტიისა და მერმე ისმალოს ზედ-მოქმედების ქვეშ, ზე-
მო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს
ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხროდა, ხან მეორეს და
ტვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-
არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭი-
რა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში
მოიკიდა ფეხი. ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ
როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთ-მსახურება
სუფევდა. ქრისტეს აქედ პირველს საუკუნეში ადერკა, მე-
ფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება
მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-
კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა
არამც თუ მოისპო პირ-იქით უფრო გავრცელდა და დამ-
კვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ასტყარა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზათ შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოისა დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისკა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავი ქართველნი და არა ბერძენი და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტ შემ. ამგვარად, მთელის საქართველოს ქრთობის წაღალს, ცოტად თუ ბევრად, კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურატ-პალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფეთ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეუერთდა საქართველოს ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებაზ, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი განძლიერდა და და ამას მოჰყვა მთელის საქართველოისათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის, გავრცელებას ცდილობდენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძლოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიღიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოჯიოდნენ უკანვე და ჰეთენდნენ. სწავლასა საჭ

ქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, ოოდესაც ტფი-ლისა და გარემო ადგილებში არაბები მაჰმადიანობის გავრცელებას მეცალინეობდნენ თავის არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი სამლოცვო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას სთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განპტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტ-რებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, სამლოცვო საერო თხზულე-ბათა მთარგმნელნი, სახელოვანი მწერალნი ჩვენნი ებლან-დელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხვის ტყაოსანის“ მთქმე-ლი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთავე-ლი, სამცხე-საათაბაგაშა. ჩვენი ყაფილა ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფია, ჩვენის სუ-ლის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და ივივეა სამარეც ჩვენის ყოფილის აღამიანობი-სა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III განძლიერდა იმოუენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრუ-ლიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ბლიერ და სახელოვან. ებლანდელმა ოსმალოს საქართველომ ამ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია..

თამარ მეფის შემდეგ, ესე იგი, მას უამს როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ებლანდელს ოსმალების საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომე-ლიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოზე-

ბულ იყო სამცხე-საათაბაგოთ. ბიზანტიის იმპერიის და-
კირობის შემდეგ, ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს
სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტა-
ნებოდნენ,—და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნ-
დოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს
მჟყიცელ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავგანწირუ-
ლობით, თავგადადებით ებრძოდნენ ოსმალთა, ასე რომ ოს-
მალებმა ვერა დააკლეს-რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქა-
რთველობის გვარ-ტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი
კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თვისი ძმისწული,
უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადუდგა ქრისტიანობას,
ქართველობას, მიიღო ორთულისანი ფაშობა ოსმალეთისა-
გან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-
ფაშა. ამის გამო ბეკამი თავად-აზნაურნი და გლეხნი
გადმოიხვეწინენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა
მიალებინეს მაჰმადიანობა—ზოგს ძალზატანებით, ზოგს
მოტყუებით და მაცდურებითა; სამლელონი და ეპის-
კოპოსზი მოსწყვიტნეს, საყდრები დასძარცვეს და ყოველი
სამლოო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე
ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინაპირობა, უმოძღვრობა,
უკეკლესიოდ და სასოწარქვეთილი, მწარედ დაჩაგრული,
უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად
შეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის
დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები
ყოფილან. აბობენ რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად
ალიარებს ქრისტიანობასა, რომ დღესაც ათისა და თორზ
მეტის წლის ყმაშვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსა-
ნათლავათ, ზოგი ჩვენებურათ ჯვარსაც იწერს ოსმალების
იდუმალათ თურმე.

ეგრეს,—მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით
მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ—ძმები,

ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებელისამ, თამარ დედოფლისამ უქმად არ ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვა და სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოებისა დაჩაგვრა და დევნა. სომებინი, ებრაელნი თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენ შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყველრებენ. სხვა ქვეყნებში სარწმუნოებისათვის დევნულნი და ჩაგრულნი აქ, ჩვენში პოლონებინ მშვიდობის მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს, მეთქი, ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ასმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოლონდ მოვადეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისთვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს, ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ თუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს. მას, რისათვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა. მამაპაპაპა?!

ა ჭ ა რ ა
(ივერია №№ 13, 15.)

ოსმალოს საქართველოზე აქამომდე თუ რამ თქმულა, საერთოდ თქმულა, ეხლა საჭიროდ ვხედავთ თვითოეულად, ყოველ ნაწილზე ცალკე, ზოგიერთი ცნობა მოვიტანოთ. პირველად მოვიხსენიოთ აჭარა, რომელიც ჩვენზე ახალციხის და გურიის მხრით ძალიან დაახლოებულია. აჭარაში ყველამ იცის, რომ ჩამომავლობით ქართველია და მამა-პაპა ქრისტიანები ჰყოლია. გვერდით მეზობლად ჩვენში ძმები და სახლიკაცები, ნათესავები ჰყავს, უფრო სამზღვარზე ახლო მცხოვრებნი, ჩვენსკენ თითქმის ქალაქამდის დაიარებიან სავაჭროდ. ძველი წარსულის ცხოვრების სახელოვანი მეფები ახსოვთ, თამარ დედოფლისა სახელი, როგორც საზღვარს-აქეთ მხარეს ყველა სოფელში იციან, აგრეთვე აჭარაშიაც იციან. ერეკლე მეფეს მეორეს თუმცა არ უმეფნია, სახელი კი გავარდნილი აქვს და ლექსებშიაც თურმე კი მოიხსენებენ, რომელნიც ჩენი მხრით გადასულან. მაგალითად ასპინძის ომზე აჭარა ეკუთნდა სამცხე-საათაბაგოს, და ეხლანდელ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებთან შეაღგენდა ერთ საერისთავოს. ქართლ-კახეთის სამეფოს იმასან დიდი კავშირი ჰქონდა და ხშირად ქართლს ემორჩილებოდა. წარსულ საუკუნეში თეიმურაზ მეფე მოწადინებულიც იყო საათაბაგოს და საკუთრიად აჭარის დაპყრობისა. შაჰაბასისაგან განადგურებული, მერე ქართლ-კახეთის მეფეების ერთმანეთთან ომით და ლეკთ-ოსმალთა შემოსევით დასუსტებული კართლ-კახეთი. მეფე ერეკლემ იმდენად აღადგინა, რომ ის მარტო ზრუნავდა ახლად შეერთებული ქართლ-კახეთი წელში. გამაგრებული იყო არა მარტო შეერთებული ქართლ-კახეთი წელში, გამაგრებული იყო არა მარტო შეერთებული ქართლ-კახეთი წელში.

ლიყო, და გარეშე მტრისათვის ფეხი არ გადმოედგმევინებინა. აჭარა, სანამ სამცხე-საათაბაგო ოსმალოს დაემორჩილებოდა, 1625 წლამდის, ქართლის მოკავშირე და მორჩილი იყო. რამოდენჯერმე კი გურიას უერთდებოდა, როგორც მაგ 1609 წ. გურიელის მამია მეორის დროსა. ქრისტიანობა შეირყა მე XVII საუკ. ბოლოსა, მაგრამ ამ ასი წლის წინად ქრისტიანობა თითქმის ნახევრად დარჩენილიყო. ოსმალოს წესები მხოლოდ ამ ორმოც-სამოცის წლის წინად შემოვიდა. ოსმალოს მმართველობის შემოტანაში რასაკვრიველია ძალა მუშაობიდა, მაგრამ ამასთან კი უფრო ბევების გვარებმა დიდი შემწეობა მისცეს. რაკი აჭარაში ოსმალოს წესები შემოვიდა, და აჭარის თავისუფლებას საძირკველი მოეთხარა, ხვანთქრის მმართველობამ ახლა ბევებზე მოიცალა. 1850 წ. ოსმალოს საქართველოს თავად-აზნაურთა (ვეგების) თავი კაცების სტამბოლს ლაიპციგს და გამოუცხადეს, რომ მმართველობას უნდაო საგვარეულო სიგელები და ფარმანები გაშინჯოს. და ახალი წესის და გვარად, ახალი ფარმანებით შესცვალოს ბევებმა სიხარულით აიღეს მარი-პაპის ქალადები, საქართველოს მეფეების ბოძებული წერილები, და ხვანთქრების და შაპების ფარმანები და წარუდგინეს. მოელოდნენ ხვანთქრის წყალობას. ოსმალოს მმართველობამ რა კი ეს წერილები გამოსტყუა. და თავის არქივებში დაპკეტა, გამოაცხადა თენზიმათის შესანიშნავი სიტყვები: ყოველი ქვეშვრდომი იმპერიისა, თანაბრად უნდა სწევდეს ხარჯსა, რაც უნდა წოდებისა და სარწმუნოებისა იყვეს“

ამით დასრულდა აჭარის თავისუფალი ყოფნა.

II

აჭარა მდებარეობს ებლანდელ საზღვარზე ახალცი-

ხის და გურიის მაზრებისა და სდევს აჭარისა და ახალცი-
 ხის მთებს იქით სამხრეთ მხარეს, ამ მთისაგან არსიანის
 მთის ქედი დაეშვება. ამ ორის მთისა მრავალი წვრილი ქე-
 დები ტოტებივიო იფინება მთელ ქვედა და ზედა აჭა-
 რაში და მრავალ ხეობებადა ჰყოფს ამ მშვენიერ მხარეს
 საქართველოსას, ოომელშიაც მიმდინარეობს წვრილი
 მთის წყლები კალმახით საფსე. ზედა-აჭარაში უმთავრესი
 ხეობანი ხუთნი არიან: ხულოსა, ღორჯომისა, ბელლეთისა,
 სხალტისა, მირეთისა და ჭვანისა. ამ უკანასკნელ ხეობას
 გარდა დანარჩენებზე არსიანის მთის ტოტები ჩამოსდევს.
 თვითონეული ხეობა კარგა საკმაოდ განიერია, სახნავ-სათე-
 სად და საძოვრად კარგის მინდვრებით შემკულია, ყოველ
 მხრიდან მთის წყლები ჩამოჩენებს და ერთვის შუა-
 ხეობის წყალსა. უმაღლეს მთებზე არსიანის შიშველ ად-
 გილს ვხედავთ და რაკი დადაბლდება, იმოსება მდიდარის
 წიფლის, თელის, მუხის ტყითა. ხეხი ლიაქ ყველა ხარობს,
 ზეთის ხილი კი ცოტად მოდის აქა-იქა დაბლობ ადგი-
 ლებში. ვაშლი და მსხალი ისე ბლოკად მოდის, ოომ გა-
 აქვთ ახალციხეს, ოზურგეთს, არტაანს და თითოების
 ალექსანდოპოლშიაც. ვენახი ხშირია და, ასე გასინჯეთ,
 ამ რამდენიმე წლის წინად ახალციხელები იქ მიდიოდნენ
 თურმე, ღვინოსა სწურავდენ და გადმოჰქონდათ
 მკათათვეში, ოოდესაც ბალი არსად არ მოიპოვება, თქვენ-
 შეგიძლიათ გურიაში, ნაგომარზეი არმუკობას (ქალაქობას)
 იშოვნოთ, მიწა მომცემი მიწაა: მომატებულად მოჰყავთ
 სიმინდი და ცოტად ხორბალი და ქერი. რადგანაც სი-
 მინდმა მეტი მოსავალი იცის და რაღვანაც სახნავ-სათესი
 ადგილი ნაკლებია, ამის გამო ხორბალსა და ქერს ნაკ-
 ლებადა სთესენ. წინა წლებში თამბაქო მოჰყავდათ, მაგ-
 რამ ბოლო დროს, რადგანაც აქციზი შემოვიდა თითოების
 აღარა სთესენ. საქონელს ძალიან ბევრს ინახვენ ზედა-
 აჭარაში, მეტადრე სოფლებში: ბაკოს, ხიხიაბირს, ზემო

და ქვემო თხილვანს, ღორჯომს და ნალორევს. სამზღვარ-ზე მდებარე სოფლებიდან დიდ-ძალი კარაქი და ერბო გადმოაქვთ ჩვენსკენ, გურიაში და აშით კარგი სარგებ-ლობა. აქვთ, არტაანისაკენ ვაჭრობა კი ვერ ეხერხებათ, რადგანაც ქურთები სდგანან და ბევრი საქონელი ჰყავთ. მაინც კი აჭარაში იმოდენა საქონელს ინახავენ, რომ მარტო ზედა-აჭარიდან საქონლიდან 160 თუმანი შემოსავალი, აქვს ოსმალოს მთავრობას. საქონელს გარდა ყოველ მო-მოსახლეს ათიოდე ცხვარი და თხა ჰყავს და თითო ცხე-ნი. ეს ლამაზი კუთხე საქართველოსი საკმაოდ გამდიდრ-დებოდა ცოტაოდენი რიგიანი გზა რომ ჰქონდა, მაგრამ გზები ისეთი საძაგელი აქვს, რომ მარტო ცხენი თუ ივ-ლის, თორემ ურმის ხსენება არ არის. მმართველობა ამა-ზე არა ფიქრობს, წყლებზედ თუ სადმე ხიდია ისიც ძვე-ლის ძველად აშენებულია, საქართველოს მეფეების დრო-ინდელია, ამის გამო ვაჭრობა და მისვლა-მოსვლა ძნელ-დება. ამისათვის სავაჭრო დუქნები აქა-იქა ძალიან ცო-ტაა და սდგილობრივი მცხოვრები მეღუქნე ვერ შეგხვდე-ბათ, ან სომეხია, ან ბერძენი, ან ოსმალო. აქაც ქართუ-ლი ანდაზა მართლდება: სომეხი დუქანზე, ქართველი გუ-თანზედაო.

მთელი მოსახლეობა აჭარის ქართველობაა, აი რას ამბობს მოგზაური-დამწერი, ფრიად შესანიშნავის და ფრიად ძვირუასი წიგნისა: „სამი თვე ოსმალოს საქართ-ველოში“, რომლიდანაც ჩვენ ვკრებთ (კნობასა. „სოფელ ღორჯომს რომ დავეშვით, შორიდამ ნახირი დავინახეთ; ამასთან მოსხანდა ხალხი-პატარა ბიჭები. იმათი წივილი და ულავილ-ულუვილი მოგვესმოდა. აჭარლები პირველად ვნახე და ვფიქრობდი: ნუ თუ ერთმანეთს თათრულად ელაპარაკებიან? ნუ თუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარშულდა? ბოლოს ახლო მივედი და.... ღმერთო და ბედო! თერპე ჩვენი ყოფილა, ჩვენი! ბალები ქართუ-

ლად იგინებოდენ. ჩვენი მისვლა რომ დაინახეს, ყმაწ-
ვილები დაჩუმდნენ, და ეს პატარა მთიულები გზაზე შე-
იკარნენ ჩვენს საყურებლად. ჩვენ დავდექით. თხუთმეტიოდ
ყმაწვილი ბიჭები იღვნენ, და რამოდენიძე უფრო ჭაბუკი.
მაგრამ უნდა შეხედოთ რა მშვენიერის სახისანი არიან.
ძონძები რომ გახადოთ, გეკონებათ დილ-კაცის დარბაზში
გაზღილები იყვნენო, ისეთი თეთრ-წითელნი და ლაშაზნი
არიან. ჩვენ მთიულებსა ჰგვანან, და თანაც ვურულების
სახის იერი მოსდევთ.... ვინც კი შეგვხვდა, სულ ტანადნი,
მხარ-ბეჭიანი და თვალადნი იყვნენ. სუფთა, გაწმენდილი
სახე, ცოტა მოჯიდო ცხვირი და შევარუნის შეხედულე-
ბა, გრძელი და ხშირი თმა, ყაბალახ შემოხვევული,—ესე
ყოველი წარმოკიდგენა აჭარლის სურათსა. ტანისამოსი
აურული აცვიათ. საჩუმუნოებით მაჰმადიანები არიან;
შინ ოჯახობაში ქართულად ლაპარაკობენ, თათრული (ოს-
მალური) ენა ხანში შესულმა კაცებმა იციან, დედა-კაცებ-
მა და ყმაწვილებმა ცოტად იციან, ამ თხუტმეტიოდ
წლის წინად არა ყოვილა ასე გავრცელებული თათრული
ენა, რომ დედაკაცებს ცოტა-ოდნად მაინც სცოდნოდათ
და საკვირველია, ასე მალე თათრულმა ენამ როკორ გა-
იდგა ფესვები აჭარაში“.

ამ ფრიად საწუხარო შენიშვნამ ძალიან უნდა და-
გვათიქროს და ქართველობის მოყვარის მხრით შრომას
ითხოვს.

მეჩითებთან შკოლები აქვთ, რომელშიაც მარტო არა-
ბულ კითხვას, ასწავლისან, და არაფერი კი არა ესმით რა.
ქართული წიკნის მკითხველი, თან და თან კლებულობს
და ამგვარად ხალხი უწიგნოთა არის. ხალხი თუმცა
მოსურნეა სწავლისა, ოსმალოს / მმართველობა / რიგიან
სასწავლებელს არა მართავს, რომ საწვლა ქართულ ენაზე
იყოს და მარტო მაჰმადიანი სამლოც წიგნების საკითხვე-
ლად მოლები არაბულის ასოების ჩათვლასა ასწავლიან;

ეს გარემოება ისეთ ნაკლულევანებათ არის ნაკრძნობი, რომ როგორც ნამდვილი სანდო კაცებისაგან გაგვიგონია, მოლებიც კი საჭიროებასა გრძნობენ ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და როდესაც კი შემთხვევა მისცემიათ საქართველოში ან თავიანთში ქართული წიგნის მცოდნე უნახავთ, მაშინათვე წერა-კითხვა უსწავლიათ. აქ მხოლოდ სახარების სიტყვას ვიტყვით: „რომელთა აქვთ ყურნი სმენად, ისმინნენ“. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ მოლები, რომელნიც თვით აჭარლები არიან, შორს არ იჭერენ ქართულ ენასა და პირიქით სურვილი ჰქონიათ.

ამას გარდა ზოგიერთ ბეგებსაც შვილებისათვის ჩვენი ქართველი მასწავლებლები უნდათ, მაგრამ იქ მიმსვლელი ისეთი არავინ ჩნდება, რომ თავისის დამჯდარის ხასიათით ნდობა ჰქონდეს:

ზეობით აჭარლები მხნენი არიან. თოფის სროლა და იარაღი უყვართ და ძველი თავადიშვილების (ბეგების) მომხრენი და მორჩილნი არიან. ჩვენში აჭარლებს ცუდი ხმა აქვთ დავარდნილი და იტყვიან კაცის თავი ხახვის თავად მიაჩნიათ, ქურდები და ავაზაკები არიანო. ქვედა აჭარაში და ქობულეთში რამდენიმე სოფელი მართალია ქურდობით განთქმულია, მაგრამ მთლად აჭარაზე კი ამის თქმა ცილის წამებაა. ზედა-აჭარაში ქურდობა და ცარცვა იშვიათია.

შინაურობაში აჭარელი ისეთივე მთიულია, როგორც არაგზე და ოერზე. მოხუცებულის პატივისცემა, სტუმარ, მოყვარეობა, თავის დაჭერა, ცნობის მოყვარეობა და ამასთანავე დიდი შრომის მოყვარეობა აჭარლის პირველი თვისებაა. მთელი დღე კაცი მინდორში შეუწყვეტლად მუშაობს, დედა-კაცი ოჯახში. ყმაწვილი რა კი მოჩიტდება, მაშვინვე მწყემსად გადის. ტყეში გდება და მარტობა, რასაკვირველია, ცუდათა მოქმედებს ყმაწვილის ხა-

სიათზე და ამიტომ აჭარელი გარეშე კაცთან უცხოობს, ველურსა ჰგავს. მაგრამ ეს უნიჭობით კი არა უნდა ჩავთვალოთ, ისინი ჰგვანან ჩვენს ხევსურს ომელსაც ეუცხოვება ყველაფერი.

აჭარლებს კარგათ ახსოვთ ომ ჩვენი ძმანი არიან, მხოლოდ სარწმუნოებით განვსხავდებით. ძველი შენობის, ციხების და ეკლესიების პატივის ცემა აქვთ და იციან, ომ საქართველოს მეფეების აშენებულია. ზოგიერთის საყდრის პატივისცემა ისეთი აქვთ, ომ ხელის ხლება. დიდ ცოდვათ მიაჩნიათ და სასწაულობასაც ლაპარაკობენ, ორს ხოჯას სხალტის ეკლესია, (რომელიც უკეთესია თავისის შენობით და მხატვრობით. სხვებზედ მთელ აჭარაში) უნდოდათ მეჩითათ გადაეჭირათ. საყდარმა ორიჭკეუაზე შეშალა და ტყეში მხეცივით ატარაო. ერთმა მეცხვარემ ზამთარში ცხვარი ამავ საყდარში შერევაო, ხატი გაწყრა, ორასი სული ცხვარი დაუხოცა და თითონ მწყემსს კისერი მოუგრიხაო. ამისთანებს, ლაპარაკობენ აჭარლები.

ხირხატის ციხეზე აჭარლები ამბობენ თამარ მეფის აშენებულიაო.

ამ ციხედამ თამარმა ზარზმამდის გვირაბი გააკეთებინა და დადიოდა ხოლმეო, რაღგანაც ლანგთემური გზაში ჩაუდგა და დაჭერა უნდოდაო. ერთის ბერისაგან შეიტყო ლანგთემურმა ეს ამბავიო, ზარზმას წავიდა და თამარ მეფის გამოსვლაზე უდარაჯაო. დადგა შაბათი, დედოფალი ცისკარზე მივიდა ზარზმასა. ამ დროს ლანგთემური ჯარით შემოერტყაო. თამარ მეფემ რომ სხვა ველარა მოაგვარა რა, საწამლავი დალია და თავი მოიკლო. ამ გვარი ხალხის თქმულება გვაჩვენებს აჭარლების. დახსომებას წარსულის ცხოვრებისას და პატივის ცემას.

სამართალი აჭარაში მარტივი და უბრალოა. სოფლის სასამართლო ანუ მეჯლისი იმ გვარივეა, როგორც

ჩვენი სოფლის სასამართლოები. მოხელენი ამოირჩევიან ხალხისაგან და ამის გარდა ყადიცა, რომლის მოლა. მერე ამაზე უფროსი სასამართლო აღგილი არის მუდირი (უჩასტკის ნაჩალნიკი) და მისი მეჯლისი; კაიმაკამი (მაზრის უფროსი) მეჯლისით. მაგრამ ამასთანავე ბეგებთან ხშირად მოდიან საჩივლელად და ესენი სამართალს აძლევენ. ზემოხსენებული მგზავრი მოიხსენებს ერთს ამბავს:

გზაზე შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს დახვდა ხალხი, თოთო თითოდ მოდიოდნენ, კალთასა ჰკოცნიდნენ, მერე მოკითხვის შემდეგ ბეგმა გამოჰკითხა ამბავი. ერთმა მოხუცებულმა იჩივლა, რომ ქალი შინიდან გაიქცა ამა და ამოჯახიდან საქრმოსას და შინ აღარ ბრუნდებაო. დედმამას იმ კაცის სიძეობა არა სურთო. ეს ამბავი ძალიან ეუცხოვათ იქ მყოფთა, ამ ლაპარაკის დროს მოვიდა ქალის მიჯნურის მამა და ბეგს მოახსენა, რომ ყოველივე მართალია. ჩემს სახლშია ქალიო და აი აგერ აქ მოვიდაო. ბეგს აჩვენა ჩადრში შეხვეული ყმაწვილი ქალი, რომელიც ჯაგებში იმალებოდა და ვერ გაებედნა ბეგთან მოსულიყო, თუმცა კი ამ აზრით იდგა; აღმოჩნდა რომ, თურმე ქალის ძმა ყოფილა წინააღმდეგი. ბეგმა დააძახებინა ძმა და უთხრა, რომ დას ნუ აუბედურებ, უნდა ეგ ყმაწვილი, და მიეციო. სიტყვა გამოართვა, ქალის ძმამ კალთას. აკოცა და სასიძოს მამას გადაეხვია. ეს შემთხვევა რო არ ყოფილიყო, იქნება სისხლი დალვრილიყო. ამ გვარად ბევრჯელ საქმეები თავდება.

პეტრი ფმიცაშვილი.

გ ა ვ შ ე თ ი

შავშეთი სდევს აჭარის სამხრეთ. აღმოსავლეთით აკრავს არსიანის მთა და ჩრდილოეთით აჭარის საზღვარზე შავშეთის ანუ კარჩხალის მთა. ამიტომ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხარე ვიწრო ხეობებად არის, დაყოფილი, ხოლო ვაკე აღგილი მდებარეობს შუა შავშეთში; საღაც მომდინარებს სათლელის წყალი, რომელსაც ერთვიან ბევრი მთის წყლები.

მოსაგალი თითქმის ისეთივე მოდის, როგორიც აჭარაში; შავშეთის ფრიად მომცემ ბარში უხვად მოდის სიმინდი და ხორბალი (იფქლი), ასე რომ ამ უკანასკნელ წლებში ინგლისის სავაჭრო კამპანიამ აქედამ სიმინდი საკმაოდ ბლომად გაიტანა.

დასახლებულია ქართველებით 58 სოფელი, რომელშიაც 2000 კომლზე ანუ 44,000 სულზე მეტი მცხოვრებელია. ორიოდ სავაჭრო სოფელში ვაჭრობენ ართვინელი სომხები, რიცხვით 145 კომლი. შავში ლაპარაკობს წმინდა ქართულის ენითა და ემსგავსება გამოთქმით მთიულების, ანუ უკეთ ვსთქვათ, ხევსურების გამოთქმასა. სამწუხაროდ ჩვენდა რამდენსამე სოფელში დიდ გზაზე, აზრუმსა და ოლთისის მიმავალზე თითქმის ქართული დავიწყებიათ, თუმცა კი იციან, რომ მამა-პაპა ქართველები ყოლიათ. ეს მიეწერება ხშირ მისვლა-მოსვლასა და ოსმალოების სიახლოესა. შეხედულობით შავში ხევსურის ან მთიულის ვაუკაცური სანახაობა არა აქვს. მაგრამ ამას შემდეგ მოვიხსენიებთ. შავშეთი წარსულ დროებაში დიდ შემწეობას და ვაუკაცობას იჩენდა სპარსების და არაბების დაცემის

დოროს საქართველოზედ, არც ერთ მტკაველ ადგილს უომრად და თავგაუწირავად არ უთმობდა მტერსა, ამის გამო ეს ვაჟკაცობა აძლიერებდა გარემო ქვეყნებსაც და საქართველოს მეფეებს წელს უმაგრებდა, მაგრამ ეს ბძოლა დიდ მსხვერპლად დაუჯრა საქართველოსა. აშოტ კურატპალატმან (გამეფედა 885 წ.) როდესაც გარდიხადა ომი არაბებთან და დამარცხელულ იქმნა, მიიქცა ჯავაჭეთისაკენ თაფარავანის კიდესა. აქ ეწივნეს არაბთა (სარკინოზთა) ლაშქარნი, შეებრძოლა და გაიმარჯვა. აშოტ ამას შემდეგ სიმაგრისათვის მივიდა შავშეთსა. ქართლის ცხოვრება (187 ვ.) ამბობს: „ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ უამთა სპარსთა უფლებისასა აოხრდა, ოდეს იგი ყრუპან (მურვან) ბალდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი (731 წელს) და მოვლო შავშეთი, კლარჯეთი და დალონი. და კვალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოახრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთამილთა მათ მცვილრთა შევშეთასათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითა და დაემკვიდრა მუნ და მისცა ღმერთმან გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა და რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანისანი მოიყიდნა საფასითა და ზოგნი ახერნი აღაშენნა და განამრავლნა სოფლები აშოტ კურატპალატმან ქვეყანათა მათ“. ამის შემდეგ: „ხოლო ამან აშოტ კურატპალატმან პპოვა კლარჯეთის ტყეთა შანა კლდეი ერთი, რომელი ვახტანგ გორგასლანს ციხედ აღეშენა, სახელად არტანუჯი, აოხრებულ იყო ბალდადელისაგან (მურვან ყრუსაგან). იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა, ქვეშეთ, აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა მას. შინა ეპქლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და შეექმნა, მას შინა საფლავი თვისი და დაემკვიდრა ციხესა

მას შინა ცხოვრებად“.

ამ მარტივის აღწერით ვხედავთ რა დიდი განსაკუდელი უნდა გამოევლო შავშეთსა ჯერ აშოტის გამეფებამდე. შემდეგ ამისა ვიდრე სარკინოზის უფლება გაქრებოდა არა ერთხელ განახლებულა ბრძოლა. თამარ მეფის წინათ და შემდეგ ორასიოდე წელიწადი არც კი მოუსვენია შავშეთსა. იწყება თურქების და ქურთების შემოსევა, სპარსეთის ბრძოლა და ეს მხარე ფეხ-ქვეშ გაქელილიქმნა. დიდსა და საკვირველ მოვლინებად უნდა მოგვაჩნდეს, რომ ეს ადგილი კიდევ დასახლებულია და დაშენებული სოფლებითა საკმაოდ ხშირად.

შავშეთში და კლარჯეთში ჩნდება ბაგრატიონთა გვარი აშოტითგან 885 წელს. ეს მთავარი იჭერს მთელ ქართლს იმერთა მეფის შემწეობით ქსნამდე და თფილისში არაბთა მთავრობას ამხობს, მაგრამ არაბების უფლება ისევე მყარდება თფილისსა და ამიტომ უკუქცეული კლარჯეთ-შავშეთშივე ბრუნდება. მაინც ეს მეცადინეობა უქმად არ იკარგება. შავშეთ, აძლიერებს ბაგრატიონთა გვარი, აქვს კავშირი საბერძნეთთან, აშენებს ციხე ეკლესიებსა, ხელოვნება და სწავლა შემოაქვს საქართველოში. ამ მეცადინეობით შავშეთის გულიდან იწყება საქართველოს ერთობის დადგინება და იქითგან გამოსული მეფობა შეკვიდრდება ათასის წლის განმავლობაში ქართლიმერეთში.

როდესაც ერთობა საქართველოში დაირჩვა და სამცხე-საათაბაგო გაძლიერდა, შავშეთი ექვემდებარებოდა სამცხეს აჭარასთან და ლივანასთან ერთად და ბოლოს სრულიად დაცყრობილ იქმნა ოსმალთაგან ..

ამ ოცდა ათის წლის წინა დრომდე შავშეთში დარჩენილნი იყვნენ 90 კომლამდე აზნაურიშვილები; ამათ უფლება ჰქონდათ ყმები ჰყოლოდათ და ომიანობის ტროს ბეგს უნდა მსახურებოდნენ, ისე როგორც ძველად ჩვენ-

შიდაც იყო.

ბეგები თავადიშვილებსავით მათზე ბრძანებლობდნენ.

როდესაც ოსმალოს მმართველობამ თენზიმათი გამოაცხადა, რომ ყოველნი ქვეშევრდომნი ხვანთქრისა თანაბრად მოხარკენი არიანო, ამ დროიდამ მოისპო აზნაურთა უფლება, ბეგებს პენსია მიეცათ და აზნაურნი გათანასწორდნენ გლეხებთან. თენზიმათის წინად გლეხი კაცი ხდილობდა ბეგების სასარგებლოდ მხოლოდ მეხურედს ნაწილს მამულის მოსავლისას. ამ ჟამად შავშეთი აძლევს ხაზინას დიდს გადასახადს. აგროვებს მოიჯარადრე. მოიჯარადრები დადიან სოფლებში იმისთანა დროს, როდესაც ხალხს ხელში ფული არა აქვს. ამის გამო მოიჯარადოე, რასაკვირველია, უმატებს ხარჯსა და ამ გვარად ხარჯი ძალიან დიდდება. წელიწადში შავშეთიდამ სახელმწიფოთ ხაზინაში უნდა შევიდეს ათას ხუთას თუმნამდის, მაგრამ მოიჯარადრების უსინიდისობით ეს ხარჯი ერთი ორად ერთმევა ხალხსა ამ ხარჯს გარდა ყოველის ხეხილის ძირზე ორი ყურუშია და ტყის ხარჯად ფასის ათის თავი ერთმევა. შავშეთის ზოგ სოფლებში სომხები ქრისტიანები (ფრანგები) სცხოვრობენ. რომელნიც სალდათის მაგიერად ფულს (ბედელს) იხდიან აქაური სომხები, როკორც ამბობენ, ქალაქებშიაც მოიპოვებიან ხანდის ჩან მეფურნეთა შორის.

შავში რომ შეგხვდეთ, ძნელად დაიჯერებთ ეს იმ მამაცის და გმირის შავშის ჩამომავალი იყოს, რომელმაც არა ერთხელ საქართველო დაიხსნა. შავში ისეთი მშიშარია, რომ მისი მხდალობა და ფრთხილობა აჭარლებში ანდაზად არის.

აი როგორ მოიხსენებს ავტორი „სამი თვე ისმალეთის საქართველოში“; „შავშეთის სოფელ ყვირილას რომ მივედით, გაგვაკვირვა აქაურის მცხოვრების შეხდულებამა: საცოდაობის სახე ედვათ, ვაუკაცურის იერისა-

ეზოთიც ვერა ვნახეთ. სულ ძმნებში არიან გამოხვევულნი, მწუხარენი და დაგვალულის ტანისანი. ეტყობათ რომ თავჩაკრულნი, გათელილნი და ლარიბნი არიან, . . . მაგრამ საერთოდ შავშეთზე ამას კი ვერ ვიტყვით. თუმცა ყოველგან ეტყობა, რომ დაჩაგრულია და ღონე წარმეული. სახით უფრო ქართველის სილამაზე იმერხევის მცხოვრებლებს შერჩენიათ. ტანისამოსი აჭარლებისა აცვიათ. შავშების ფრთხალობა მაშინ გამოჩნდა, როდესაც ამ ათი-თორმეტი წლის წინად ოსმალოს მმართველობამ მოიწადინა თოფ-იარალის ჩამორთმევა. ხვანთქრის პრძანება მთელ ოსმალოს საქართველოში მარტო შავშებმა აღასრულეს, აჭარლებმა, ჭანებმა და მაჭახლელებმა უარი სთქვეს და იარალი შერჩათ. ახლა ხვანთქრის მთავრობა აღარც კი ფიქრობს იარალის ჩამორთმევის გახსენებასა. მხოლოდ შავშები უხანჯლოთ დარჩენილები აჭარლების და მაჭახლელების თავჩასაკრავნი გამხდარან და მოსვენება აღარ აქვთ. . . მაგ. ერთი მაჭახლელი იმერხევის სოფელს სურევანს ჩაუდგა ერთს შავშეს სახლში, თვით მასპინძელი შინიდან გამოაგდო, იმის ახალგაზრდა ცოლს მოუჯდა და სამი თვე მთელ სოფელს ხარჯი დაადგა და ამით ცხოვრობდა. იმის ოხტიდან ვერც ხალხი მოვიდა და ვერც მუდირი (უჩასტკის ნაჩალნიკი) . . . სომხები შავშეთში უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან, იმათ სცარცვენ თვით შავშები. ისე გაბრაზებულან სომხები, რომ ზოგნი ბათუმს აპირებენ გადასახლებას, ზოგნი ახალ+ციხეს.

მაინც კი უნდა მოვიხსენოთ, რომ როდესაც 1844 წ. ოსმალოს საქართველოში თენზიმათი გამოცხადდა აჭარა-სთან, ჭანეთთან, ლივანასთან და ქობულეთთან შავშე-თიც აღგა.

„ამ მოძრაობის მოთავედ შეიქმნა იმ დროს ბეგებში უძლიერესის აბედი ბევის შვილი სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი,“

ეს იმ დროს თხუთმეტი წლის ყმაწვილი იყო (ეხლა არის 48-49 წლ.). თუმცა ასეთი ყმაწვილი იყო, მაგრამ ამოირჩიეს სარდლათა. ამის მოწვევით მოსქდა ხალხი აჭარიდამ, ქობულეთიდამ, ერუშეთიდამ და ლივანიდამ, ხალხმა. არ იცოდა რა ამბავია, მხოლოდ გამოუცხადეს, რომ რუსებზე მივდივართო, ნამდვილად კი ბევებს ამ ხალხის შემწეობით არეულობის მოხდენა სურდათ, რომ თენზიმათი მოეშლევინებინათ ოსმალოს მმართებლობისათვის. რადგან ბევებს კარგა ნათლათ არ ესმოდათ რა უნდა მოითხოვონ და რა როგორ გაარიგონ, ამის გამო ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდათ. ამ შემთხვევით ყარსის ფაშამ ისარგებლა და მეამბოხენი მოლაპარაკებით დამორჩილდენ ისმალოს ჯარსა, რომელიც ბევების წინააღმდეგ საომრად გამოსულიყვენ სელიმ-ბეგმა რომ ველარა გააწყო რა, სამასის კაცით დაბრუნდა და ბათუმზე დაცემა განიძრახა: მაგრამ აქ რაოდენასამე მოლაპარაკების შემდეგ დამორჩილდა და ტრაპიზონს წავიდა, იქიდამ სტამ ოლს გაგზავნეს და ცოტაოდენათ დასაჯეს.

აი ამ გვარად როგორც აჭარაში, აგრეთვე შევშეთშიაცა ჩანს დიდი გავლენა ხალხზე ბევებისა და მათგან უმეტესად ხიმშიაშვილების გვარისა.

ჩვენდა ნუეშად ეს არის, რომ შავშები თავისათავს ქართველებად აღიარებენ, ყველამ იცის და ახსოვთ, რომ ძალადობით გაუმაპმადიანებიათ და მოუგლეჯიათ საჭართველოსაგან.. სადაც ძველი ეკლესიებია, პატივსასცემენ და სანთლები მოაქვთ დასანთებადა. ამბობენ, რომ დედაკაცებში დღესაც საიდუმლოდ ქრისტიანობა დარჩენილა. ამისთანა მშვიდ ქვეყანაში კარგ ჭრნივრულად მომქმედ კაცს ბეჭრის სარგებლობის მოტანა შეეძლო. აქამომდე თითო ოროლა. ბევები ჩნდებიან, რომელნიც ოჯახობას და მეურნეობას შესდგომიან და ოსმალურის წესებით და სახელმძღვანელო წიგნებით. მართვენ თავის

მამულს.

დარჩენილა თუ არა ქართული წერა-კათხვის ცოდნა, ან წიგნები არ ვიცით, იქნება ქრისტიანთა სომეხ-კათოლიკეთ ეკკლესიებში დარჩენილიყოს სამღვთო ან საერო წიგნები. მხოლოდ გაგვიგონია; რომ ვითომ ამ 50-55 წლის წინათ არტანუჯიდამ აქ ვიღაცას მოეტანოს ძველი ხელთნაწერი ვეფხის-ტყაოსანი.

ძველი ეკკლესიების ნანგრევები მრავალია შავშეთში და იმათში შესანიშნავია ჯერაც მრთელი ტბეთის ეკკლესია სოფელ ტბეთში, რომელიც სამუდირო ბინასთან სოფ. ციხისძირთან (ეს ქობულეთისა არ გევონოთ) ნახევარ საათის სავალზეა. აქ არის მეტი ამისი აღწერა მოვიტანოთ ზემოხსენებულ თხზულებიდან „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“. საქმაოა მოვიხსენოთ იქიდამ რომე „ტბეთის ეკკლესიას შეუძლიან დაამშვენოს თვით რომი, რომელიც განთქმულია ქვეყანაზე ძველის ეკკლესიებით....“ ტბეთის ეკკლესია უფრო დიდს და მშვენიერ გრძნობას აღძრავს კაცში, ვიდრე სვეტი-ცხოველის ეკკლესია თავისის შინაგანის და გარეგანის მშვენიერებით. აღმოსავლეთის მხარეს ზედ წარწერა დაშთენილია; აგრეთვე თვით ეკკლესიაში მხატვრობა ისეთია, რომ გვიჩვენებს ფრიად მაღალ ხელოვნებას იმ დროებისას. აშენებულია აშოტ კურატპალატისაგან 918 წელს, ხალხი ლაპარაკობს, რომ ამ ეკკლესიის ასაშენებელი წითელი ქვა ოცის ვერსის სიშორიდამ უჭრიათ და იქიდამ ხალხი. იდგა მწკერივად და ხელდახელ აწოდებდა ერთმანეთს საყდართან დასადებლადათ. ამ გვარს ამბავს ლაპარაკობენ კიდევ სხვა ეკკლესიების აშენებაზედაც ოსმალოს საქართველოში“. ამის შემდეგ არის კიდევ სხვა ეკკლესია შესანიშნავი სინგოტს იმერ-ხევის შესავალთან, აქავ ძველი ნანგრევები ციხე-შენობებისა მრავალია.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ხალხს დრდი პატივის

ცემა აქვს ამ შენობებისა, მიღის ზოგიერთ დღესასწაულებში და მიაქვთ სამლოცვო მამალი ან წმინდა სანთელი ზოგიერთ ძველ ეკკლესიების ნანგრევებზედ. სომეხ-კათოლიკებს აუშენებიათ ახალი ეკლესიები, რომელშიაც მუდამ წირვა-ლოცვას იხდიან.

პეტრი უმიკამბილი.



ლ ი კ ა ნ ა და კ ლ ა რ ჯ ე თ ი

ქართველი ხალხი ჭოროხის მთელ ხეობაზედა სცხოვ-
რობს გაღმა-გამოლმა. ჭოროხი იწყებს მდინარებას დასავ-
ლის მხარეს, ბაიბურის ზემოდ და მომდინარებს ლაზის-
ტანის და სომხეთის მთებს შუა, სამხრეთ-ჩრდილოეთი-
საკენ, და მემრე შავშეთისა ანუ კარბხალის მთებთან
მიუხვევს, ჩრდილოთ მიმდინარებს და ბათუმთან ჩაერთვის.
ზღვასა.

ჭოროხი მომდინარებს ორას ორმოც-და-ათის ვერ-
სის სიგრძეზე და ამ ვეარად ალაზანზე და რიონზე (200
ვერ.) უფრო გრძელია და სიგანე იგივე აქვს. სიგანე
ამ კუთხეს თითქმის იგივე აქვს, რაც კახეთსა და ქიზის.
მსუბუქად თვალის გადავლება გვიჩვენებს სივრცეს
ლიგანისას და კლარჯეთისას.

ლიგანა ანუ ძველი ლიგანი სდევს ქობულეთს, აჭა-
რას და შავშეთის დასავლეთს და მიღის ჭანეთის მთამდე
ჭოროხის ხეობაზე, ართვინს ზემოდ; ართვინიდამ ზემოდ
ჭოროხის სათავემდინ სდევს ძველი კლარჯეთი. ლიგანას
სამხრეთ ოლთისის გარშემო სდევს მაზრა ტაოს-კარი
(თავისკარი, თავსკერ) და კოლა. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ
ლიგანას და კლარჯეთს მოვიხსენებთ.

სამწუხაროდ ჩვენდა კლარჯეთზე ფრიად მცირე-
ცნობა გვაქვს და მომეტებულად საცნობი უფრო ლიგანის
ამბავი ვიცით. ერთ ხმათ მოვითხრობენ ჩვენის დროს.
მოგზაურნი და ძველი მწერალი ვახუშტი, რომ ეს ადგი-
ლები ძალიან მთიანი და ხეობიანი ადგილია, რადგან
ორსავ მხარეს ჭოროხს მდებარებენ ფრიად მაღალი ჭანე-

თის, კარჩხალის სომხეთის მთები. ამათაგან გამომდინარეობენ წვრილი მთის წყლები, რომელთა ზაპირები შემოსილია მშვენიერის მცენარითა, თუმცა შიგა და შიგ ქვალორიანი და შიშველი კლდეებიც მოიპოვება. სადაც კი ერთი მუჭა მიწა შეღორილა, საკვირველი მცენარეობა ჩანს და ზედ ამოსულა ვაზი, ბროჭეული, ნუში, ლელვი და ზეთის ხილი. თიბათვეში ხორბალი და ქერი მოჭრილია და სიმინდსა სთესენ. ამ გვარად ორი მოსავალი მოდის.

მცხოვრებთა მოჰყავს საქმაოდ ბევრი პური და სიმინდი; ინგლისის ვაჭრები ყიდულობენ და ჭოროხზე სანდლებით ბათუმს ჩააქვთ. ამას გარდა ვაჭრობენ ხილითა. პირუტყვს ინახავენ (ჯენსა, ჯორს და ცხვარს. ვახუშტი მოიხსენებს, რომ ლივანაში ყველს ისეთს აკეთებენ, რომ არც წახდების და არც დაობდებისო; თითო წონით ათიდამ თც ლიტრამდე იქნებაო, და თუ მოხარშე, ძალიან კარგიაო.—ხელოსნობა საქმაოდ კარგა გავრცელებულია. არის იმისთანა სოფლები, მაგალითად ბორჩხა, რომ არც ხვენენ და არც სთესენ; პურს ყიდულობენ, და სარჩენად იციან სანდლების (კაიუკების) კეთება; ამას გარდა სახერხი ქარხნები აქვთ, წისქვილები, აგურისა, კრამიტის და კირის, ჭურჭლის და ჭურების ქარხნები. აგრეთვე ძველადგან ხურობა და ხის სახლის შენება კარგათ იციან. სანდლები და ნავები მისატან-მოსატანად ისე მრავალია, რომ ბევრგან ცხენი და სახედარი. არა ჰყავთ და არც კაუნდებათ.

ამ უკანასკნელ წლებამდე სავაჭრო გზა სრულებით არ იპოვებოდა და ამიტომ საქონელი მარტო ჭოროხით ჩაჰვანდათ 50 ვერსის დაყოლებაზე, ართვინიდამ ბათუმს, სანდლებითა. ამ სამი-ოთხი წლის წინად ბათუმიდან ყარსამდე შოსსეს გზის კეთება დაიწყეს. ეს გზა, რასაკვირველია, დიდად გააცოცხლებს ვაჭრობასა, მისვლა-მოსვლა-

სა და ამ გვარად ხალხს მიყრუებულის ცხოვრებიდამ გამოიყანს.

ჭოროხის გაღმა-გამოღმა მხარეს ძალიან მჭიდროდ დასახლებულია ქართველი ხალხი. სოფლებში მცხოვრებული ძალიან მშვენიერის შეხედულობისა, ფხიზელის გონებისანი არიან. ხალხი წმინდად, მშვენიერათ და ტკბილად ლაპარაკობს ქართულათა. ძველადგან ეს ადგილი საქართველოს შუა გულის ახლოს იყო და ძველი ლირსება ქართველობისა დღევანდლამდე არ დაუკარგავს. ქართველები სარწმუნოებით მაჰმადიანი, არიან, ახსოვთ კი, რომ ადრე ქრისტიანები ყოფილან და საქართველოსთან შეერთებულნი. ქალაქებში ართვინს, ისპისს სომეხნი არიან, რომელნიც ნახევრობით ქართულს და სომხურს ურევენ. სომეხნი ქრისტიანები არიან (სომეხ-კათოლიკე სარწმუნოებისა). პარხალის (ანუ პარახლის) ხეობაში დარჩენილა ხუთიოდე კომლი ქართველი, რომელნიც ცხადად ქრისტიანობენ (მართმადიდებლის სარწმუნოებაზე), ჰყავთ საკუთარი მღვდელი, ახალციხეში ხელ-დასხმული გვარათ ღებრაძე; აქვთ საიდუმლოთ თითქმის მთელი ქართველობა ქრისტიანობსო. ეს უკანასკნელი გარემოება შესანიშნავია. მართალია ამ უამად ოსმალოს სახელმწიფოში ქრისტიანობას არ სდევნიან ოჯულის გამო და, როგორც ამბობენ, თვით სტამბოლში ოსმალებთაგანიც არიან გადასულნი ქრისტიანობაზე (პროტესტანტის სარწმუნოებაზე); ეკლესიაცა აქვთ და წირვა-ლოცვა ოსმალურ ენაზე; ამასთანავე მართალია, რომ ოსმალოში ყველას და ამათში თათარსაც გაქრისტიანება შეუძლია, ნება აქვს და ყველა ქრისტიანს საქრისტიანო სწავლის მოფენის უფლება აქვს. თუმცა ეს ყოველი ასეა, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ თვით გარეშემო ხალხი რა კი მაჰმადიანია, იმათში მცხოვრებელს ხალხისა ერიდება. ამიტომ პარხალის ქრისტიანობა შესანიშნავია; ამას გარდა შესა-

ნიშნავია იმით, რომ წინათ აქ ქრისტიანობა დიდს დევზ-ნულებაში ყოფილა. ამავე პარხალისა ხეობაში ქართული ენის კილო განსაკუთრებულია. აქ ჩვენკენ ისე ჩქარის გამოთქმით და სიტყვის ბოლოში დიფტონგის ზაცემით. (როგორც ფრანციულში) არსად არა ლაპარაკობენ თურ-მე. პარხალის გზა მდებარებს ქობაქიდამ ჭანეთის მთით.

რაც წარსულ ისტორიულ ცხოვრებას შეეხება აქაც არ დავიწყებიათ ქართველობა. ართვინში სცხოვრობენ ახალციხის ათაბეგების ჩამომავალნი ბეგები: ესენი, ამბობენ, რომ ნამდვილი ჩამომავალნი ესენი არიან და არა შავშეთის ბეგები, ოქრობალეთს. მცხოვრებელნი... ამ ბეგებს ახსოეთ წინაპართა თავ-გადასავალი, რაც ამ ას ორმოც წელს შეეხება. ამ ათაბეგების გვარის ჩამომა-ვალთაგან ამ უამაღ ართვინში ათიოდე კომლი. სცხოვ-რებს. მაგრამ ამ ბეგებს არავითარი მნიშვნელობა და გავლენა აღარა აქვთ; უბრალო აღებსა ჰგვანან. ეს მნიშვნელობა დაჲკარგეს მას აქვთ, რაც ახმედ-ფაშამ ხიმშიაშვილმა ლიგანაზე გამოილაშქრა და ალიბეგ ათა-ბეგის გვარისას სახლი დაუწევა: მას შემდეგ ლიგანაშიაც ხიმშიაშვილებს პირველი ხმა აქვთ.

ლიგანას, სხვათა შორის, ორი შესანიშნავი ძველი ეკლესია არის: ერთი სოფელ პარხალს და მეორე ოპიზას ნათლის მცემლისა.—ოპიზის ეკლესიასთან მრავალი შენო-ბებია, რომელიც გვიმტკიცებს, რომ აქ დიდი მონასტერი. უნდა ყოფილიყო, თითო მონასტრის სადგომის შენობის. სიგრძე 38 ნაბიჯია და სიგანე 33. ეს შენობები სულ კამარებითა და სვეტებით არის დაყოფილები. თვითონ ეკლესიის სიგრძე 150 ნაბიჯია და სიგანე 80. ამ უამაღ სოფ. ოპიზას თორმეტიოდ მოსახლება სცხოვრებს.— პარხალის ეკლესია ამ უამაღ მეჩითათ არის და ამისა გამო არ დანგრეულა. ეს ეკლესია ნათალის ქვით არის.

აგებული და იმისთანა ძველის შენობის ხასიათი აქვს, რომლის მსგავსი ძალიან ცოტადა დარჩა საქართველოში; ამ გვარის შენობისა (სიონურისა უგუმბათო), არის ქალაქის ანჩისხატის ეკკლესია, ქართლს ურბნისისა, თერგის ხევში სიონისა (სივანისა) და იქვე ხევში სიონის ხეობაზე სოფელ ახალციხესთან ღვთის მშობლისა. პარხალის ეკკლესია მშენიერის ხელოვნებიდ არის აგებული: სულ სვეტები, კამარები და ჩაჭრილი თახებია. შეხედულობა ისეთი აქვს, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკკლესიაზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. სამწირველოში დარჩენილა მხატვრობა მაცხოვრისა და მოციქულთა. იატაკი კირით არის გალესილი. ამ ეკლესიებს გარდა სხვაც ბევრი ეკლესიები, ხიდეები და ციხეებია და ხალხისაგან მეტად პატივცემულია.

დიდი ქალაქი ჭოროხის ხეობაზე, საკუთრად ლიგანაში, ართვინია. აქ 20,000 სულამდე მცხოვრებელია; ამათში 100 სახლი სომეხ-გრიგორიანებისა, 600 სომეხ-კათოლიკებისა და დანარჩენი 1.300 სახლი მაჰმადიანებისა.

ამის დაგვარად ხუთი მეჩითია, ოთხი კათოლიკეთ ეკკლესია, 1 სომეხ-გრიგორიანებისა. დუქანი 250, ყავახანა 8, მეჩითებთან და ეკკლესიებთან შეკლებისა, ართვინი ქალაქ შუშასა გავსო, ამბობს ავტორი თხზულებისა „სამი თვე ასმალოს საქართველოში“. სავაჭრო საქონელი მოდის ბათუმზე მარსელიდამ, ლონდონიდამ და სტამბოლიდამ. ართვინში მოიპოვება ძველი ხელთ-ნაწერი ქართული წიგნები სხვათა შორის ეკკლესიებში. ართვინს სავაჭროთ ჩვენის მხრიდამ უმეტესად ახალციხეები დაირებიან.

რვერია № 21 1877 წ.

პეტერი უმიჯაშვილი.

ს ა რ ჩ ე ბ ი

აკადემიკოსი ნიკო მარწი სამაჰმადიანო—საქართველოზე (გრიგ. ხანმთ. ცხოვრ.)—	5 გვ.
აჭარა, ქობულეთი, კინტრიში (ივერია 1879 № 2)—	8 „
ოსმალოს საქართველო—ილია ჭავჭავაძე	15 „
აჭარა—პეტრე უმიკაშვილი	26 „
შავშეთი—იმისივე	34 „
ლივანა და კლარჯეთი—იმისივე	42 „

947.922

б 219

—БУКИНИСТИЧЕСКИЙ—

Магазин № 22

“САКЧИГНИ”

Индекс № 11111250

Цена 3-

22

Фабо 20 Зеопо.